

მშობლის ჰიპერმზრუნველობის კავშირი მოზარდების თვითშეფასება,
თვითეფექტურობასა და ცნობისმოყვარეობასთან

რუსუდან ზურაბიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა გეგელაშვილი, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის - მშობლის ჰიპერმზრუნველობის კავშირი მოზარდების თვითშეფასება-თვითეფექტურობასა და ცნობისმოყვარეობაზე - ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან ზურაბიანი

რ.ზურაბიანი

26.01.2022

აბსტრაქტი

მშობლის ჰიპერმზრუნველობის შედეგად გამოწვეული სირთულეები, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებენ მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დღეისათვის ნაკლებადაა შესწავლილი. მცირეა იმ კვლევათა რიცხვი, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობით დაკავებულ ფსიქოლოგებს დაეხმარება ამ მიმართულებით მტკიცებულებებზე დამყარებული ცოდნა გაუზიარონ მშობლებს.

წინამდებარე კვლევის მიზანია მშობლის ჰიპერმზრუნველობის კავშირების კვლევა ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთ პრედიქტორებთან, როგორებიცაა თვითშეფასება, თვითეფექტურობა და ცნობისმოყვარეობა.

კვლევის მეთოდოლოგია და მონაწილეები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 95 მოზარდმა (60 მდედრობითი სქესის, 35 მამრობითი სქესის). ჰიპერმზრუნველობის, თვითშეფასების, თვითეფექტურობისა და ცნობისმოყვარეობის შესაფასებლად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კითხვარები.

მიღებული შედეგები: რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების მიზნით გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოვლინდა თვითშეფასებისა და ცნობისმოყვარეობის ცვლადებს შორის.

შეჯამება: მიღებულმა შედეგებმა არ დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა. აღმოჩნდა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ არსებობს ჰიპერმზრუნველობასა და თვითშეფასება-თვითეფექტურობა-ცნობისმოყვარეობას შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა; ჰიპერმზრუნველობა; თვითშეფასება; თვითეფექტურობა; ცნობისმოყვარეობა.

Abstract

The complications caused by parental hypersensitivity, which negatively affect the mental health of adolescents, are less studied today. There are a small number of studies that will help practicing psychologists to share evidence-based knowledge with parents in this area.

The aim of the present study was to investigate the links between parental overprotection and such predictors of mental health as self-esteem, self-efficacy, and curiosity.

Methodology and Participants: The study involved 95 adolescents (60 females, 35 males). We used quantitative questionnaires to assess overprotection, self-esteem, self-efficacy, and curiosity.

Results: We used correlation analysis to process the quantitative data. A statistically significant relationship was found between the variables of self-esteem and curiosity.

Summary: The results obtained did not confirm the research hypothesis. It was found that there is no statistically significant relationship between overprotection and self-esteem-self-efficacy-curiosity.

Key words: Mental health; Overprotection ; Self-esteem; Self- efficacy; Curiosity.

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის მინდა მადლობა გადავუხადო არაერთ ადამიანს.

მადლობას ვუხდის სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ, ქალბატონ მარინა გეგლაშვილს.

ასევე, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო სემინარის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს კვლევის კველა ეტაპზე შესაბამისი უკუკავშირისათვის.

მადლობა კვლევაში მონაწილე თითოეულ მშობელსა და მოზარს, რომელმაც გამოიჩინა კეთილი ნება და საკუთარი ძვირფასი დრო დამითმო.